



რეაბილიტაციის ცენტრი

ნევროლოგიის და რეფლექსოთერაპიის
ბავშვთა განყოფილებები



26 წელითე ქვენთან ერთად

მიკროდენით რეფლექსოთერაპია

კომპლექსური რეაბილიტაცია

მკურნალობის უნიკალური მეთოდი

„რეაცენტრი“ ქ. სამარაში ფუნქციონირებს 1994 წლიდან, უკვე 26 წლის განმავლობაში. სამარის თერაპიული კომპლექსის „რეაცენტრის“ სპეციალისტების მიერ შექმნილია ბავშვთა ნევროლოგიური პათოლოგიის მკურნალობის უნიკალური მეთოდი - მიკროდენით რეფლექსოთერაპია, რომელიც აღიარებულია ეფექტურ მეთოდად, ნებადართული და რეკომენდებულია ბავშვთა ნევროლოგიურ პრაქტიკაში გამოსაყენებლად რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

თავის ტვინის ნორმალური ფუნქციონირების აღსადგენად მიკროდენით რეფლექსოთერაპიისას გამოიყენება ფიზიოლოგიური ზემოქმედება ელექტრო იმპულსები, რომლებიც ძალით ცენტრალური ნერვული სისტემის იმპულსებს უტოლდება. იმპულსები აღადგენს ნეირონების ნორმალურ განვითარებას, ასტიმულირებს ახალი გამონაზარდების (აქსონების და დენდრიტების) ზრდას, სინაფსების ფორმირებას და აჩქარებს მისაღები და გადასაცემი ინფორმაციის დამუშავების პროცესს.



ამის გამო ბავშვებში ვითარდება ახალი მოძრაობითი ჩვევები, უმჯობესდება მეტყველების განვითარება და ინტელექტუალური უნარები.

მკურნალობა ეფექტურია შემდეგი სახის განვითარების შეფერხებისას:

- ✓ მოტორული
- ✓ მეტყველების
- ✓ ფსიქიკური და აუტიზმი,

წარმოქმნილი სამშობიარო ტრავმის, აცრების, გართულებების, მომატებული ქალასშიდა წნევის შედეგად.



ავტორები და დეველოპერები

მეთოდი კლინიკურად აპრობირებული იყო შემდეგ ბაზებზე:

1. რსფსრ-ს ჯანდაცვის სამინისტროს „ჰიგიენის და პროფპათოლოგიის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კოლის ფილიალი, 1991 წ.
2. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა სამმართველოს სამედიცინო ცენტრი, 1997 წ.
3. რფ-ის ჯანდაცვის სამინისტროს აღმოსავლური მედიცინის ინსტიტუტი, 1997 წ.
4. სამარის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტის კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის კათედრა, 1998 წ.
5. უმაღლესი პროფესიონალური განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება „რუსეთის ჯანდაცვის სამარის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ შინაგანი სნეულებების კათედრა, 2003 -2008 წწ.


მეთოდის შემდგომი სრულყოფა და სხვადასხვა ნევროლოგიური დაავადებების მკურნალობის ახალი სქემების გამომუშავება ტარდება სპეციალისტებთან ერთად.

1. სამარის სამედიცინო უნივერსიტეტი „რეავიზი“.
2. ფედერალური სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულება რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს „სამედიცინო რეაბილიტაციის და კურორტოლოგიის რუსეთის სამედიცინო ცენტრი“.



გავრილოვი ალექსეი პეტრეს ასული, სოციალურ მეცნიერებათა კანდიდატი

დსს „სამარის თერაპიული კომპლექსი „რეაცენტრის“ დირექტორი, მკურნალობის მეთოდის იდეოლოგი, მიკროდენით რეფლექსოთერაპიის სამედიცინო მოწყობილობა-დანადგარების და ბიოლოგიურად აქტიურ წერტილებზე ზემოქმედების და მათ მდგომარეობაზე ინფორმაციის მიღების მეთოდის ავტორი და დეველოპერი.



გავრილოვა ტატიანა ალექსეის ასული, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

სამედიცინო კომპანიების „რეაცენტრის“ წამყვანი ბავშვთა ნევროლოგი, მიკროდენით რეფლექსოთერაპიის დეველოპერი, სამარის სამედიცინო უნივერსიტეტის „რეავიზის“ „კლინიკური მედიცინის“ კათედრის დოცენტი.



უხანოვი ევგენი იურის ძე

მიკროდენით რეფლექსოთერაპიის პროგრამული უზრუნველყოფის ავტორი და დეველოპერი.

მეტყველების, ფსიქო-მეტყველებითი განვითარების შეფერხების, მოტორული და სენსო-მოტორული ალალის შემთხვევაში

ბავშვს უტარდება თავის ტვინის შუბლის წილების და ქერქის მეტყველების ზონების რეფლექტორული აქტივაცია, აღნიშნული ზონები არეგულირებს მეტყველების აზრის გაგებას, სიტყვიერ მარაგს, წინადადების აწყობის უნარს, არტიკულაციური აპარატის კუნთების ტონუსის სტაბილიზაციას (დიხართრიის შემთხვევაში).

მკურნალობის შედეგად:



- ✓ უმჯობესდება მეტყველების გაგების უნარი
- ✓ იზრდება ბავშვის პასიური სიტყვათა მარაგი
- ✓ მეტყველება ვითარდება ფიზიოლოგიური თანამიმდევრობით:
 - აქტივირდება ტიტინი და ხმაბაძვა
 - ბავშვი წარმოთქვამს მარტივ სიტყვებს
 - იზრდება ბავშვის აქტიური სიტყვათა მარაგი
 - ბავშვი სწავლობს ფრაზების და წინადადების აწყობას
 - შედის დიალოგში და მონაწილეობს საუბარში
 - ვითარდება თხრობის და მოვლენების აღწერის ჩვევა
- ✓ უმჯობესდება დიქცია

აუტიზმის და აუტისტური გამოვლინების შემთხვევაში

ბავშვს უტარდება თავის ტვინის შუბლის წილების და ქერქის მეტყველების ზონების რეფლექტორული აქტივიზაცია, შუა ღეროვანი სტრუქტურების პათოლოგიური აქტივობის შემცირება და თავის ტვინის სისხლძარღვების ტონუსის სტაბილიზაცია კალასშიდა ჰიპერტენზიის კუპირების მიზნით.

მკურნალობის შედეგად:



- ✓ მცირდება ემოციური აგზნება, აგრესიულობა, მოჭარბებული მოტორული აქტივობა
- ✓ ბავშვს უჩნდება ინტერესი გარე სამყაროს, ადამიანების, სათამაშოების მიმართ, იზრდება შემეცნებითი აქტივობა
- ✓ ბავშვს ესმის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები
- ✓ უვითარდება სოციალურ-საყოფაცხოვრებო ჩვევები (დამოუკიდებლად დადის ტუალეტში, შეუძლია დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა)
- ✓ იზრდება ინტერესი ფსიქოლოგთან, ლოგოპედ-დეფექტოლოგთან საკორექციო მეცადინეობის მიმართ
- ✓ უმჯობესდება მეტყველების აზრის გაგება
- ✓ ბავშვი ცდილობს მიმართოს თხოვნით
- ✓ იზრდება აქტიური სიტყვათა მარაგი
- ✓ ბავშვს უვითარდება წერა-კითხვის, დათვლის ჩვევები.

მომატებული ქალასშიდა წნევის, სუბკომპენსირებული ჰიდროცეფალიის შემთხვევაში

სტაბილიზირდება თავის ტვინის სისხლძარღვების ტონუსი, უმჯობესდება ვენური უკუდენა ქალას ღრუდან, რის შედეგად დაბალანსდება ლიკვორის გამომუშავების და ადსორბციის პროცესი, ქვეითდება ტვინზე მოჭარბებული წნევა.



მკურნალობის შედეგად:

- ✓ აღმოიფხვრება ისტერიული გამოვლინებები მოტორული აგზნება და აგრესია
- ✓ თავის ტკივილები და ცხვირიდან სისხლდენა შეწყდება
- ✓ უმჯობესდება მეხსიერება და ყურადღების კონცენტრაცია

ცენტრალური ნერვული სისტემის პერინატალური დაზიანების და ბავშვთა ცერებრალური დამბლის შემთხვევაში

ბავშვს უტარდება ნათხემის, შუბლის წილების, თავის ტვინის ქერქის მოტორული და მეტყველების ზონების რეფლექტორული აქტივიზაცია, სპასტიკური კუნთების მოდუნება და მოდუნებული კუნთების სტიმულირება.

მკურნალობის შედეგად:



- ✓ ზედა და ქვედა კიდურების ტონუსი თანდათან ქვეითდება
- ✓ ბავშვს უჩნდება მოძრაობის და ახალი მოძრაობითი ჩვევების შექმნის სურვილი
- ✓ ვითარდება მსხვილი მოტორიკა - ბავშვები იწყებენ თავის დაჭერას, ხოხვას, ჯდომას, სიარულს
- ✓ ვითარდება წვრილი მოტორიკა - ბავშვი სწავლობს დამოუკიდებლად ჭამას, ხატვას, წერას.



- ✓ უმჯობესდება მოძრაობათა კოორდინაცია, ბავშვი უკეთესად ინარჩუნებს წონასწორობას სიარულის დროს
- ✓ იწყება მეტყველების განვითარება: უმჯობესდება მეტყველების აზრის გაგება, იზრდება სიტყვათა მარაგი, უმჯობესდება დიქცია.

მიკროდენით რეფლექსოთერაპიის ჩატარებისას თითოეული ბავშვისთვის იქმნება ინდივიდუალური მკურნალობის სქემა. ეეგ-ზე ეპილეფსიური აქტივობის არსებობისას მკურნალობა ტარდება სპეციალური სქემით: პაროქსიზმალური აქტივობის კერის პროექციაში მდებარე წერტილები მკურნალობას არ ექვემდებარება. ანამნეზში კრუნჩხვითი შეტევის არსებობისას მკურნალობა ტარდება ეპილეფტოლოგის მიერ დანიშნული კრუნჩხვების საწინააღმდეგო თერაპიასთან ერთად.

კომპლექსური რეაბილიტაცია



წინასწარი გამოკვლევა

წინასწარი ელექტროპუნქტურული გამოკვლევის საფუძველზე

თითოეული ბავშვისთვის დგება ინდივიდუალური მკურნალობის სქემა, განვითარების თავისებურებების, კლინიკური გამოვლინებების და ნერვული სისტემის მდგომარეობის გათვალისწინებით.



ეეგ (ელექტროენცეფალოგრამა)

ეეგ საშუალება გვაძლევს გამოვავლინოთ თავის ტვინის ბიოელექტრიკული აქტივობის განვითარების შეფერხების ნიშნები, შუა-ღეროვანი სტრუქტურების დისფუნქცია, პაროქსიზმალური აქტივობა მკურნალობის სქემაში კორექტივების შესატანად.



მიკროდენტით რეფლექსოთერაპია

ხელს უწყობს თავის ტვინის ჩამორჩენილი ზონების (მეტყველების, სწავლის, მოტორული) აქტივირებას, ქალასშიდა წნევის სტაბილიზირებას, ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნების დაქვეითებას.



ლოგოპედთან მეცადინეობა

ლოგოპედ - დეფექტოლოგთან მეცადინეობა უზრუნველყოფს მეტყველების განვითარებას, სიტყვათა მარაგის გაზრდას, ბგერების დაყენებას, ფრაზების, წინადადებების აწყობის და თხრობის უნარის განვითარებას.



არტიკულაციური გიმნასტიკა

არტიკულაციური გიმნასტიკა საშუალება გვაძლევს ვასწავლოთ დიზართრიის მქონე ბავშვს ბგერების სწორად წარმოთქვა. ლოგოპედი ასწავლის ბავშვს სპეცილური ვარჯიშები, რომლებიც ხელს უწყობს სამეტყველო აპარატის კუნთების მოძრაობის კოორდინაციის გაუმჯობესებას.



ლოგოპედიური მასაჟი


ლოგოპედი ატარებს მასაჟის პროცედურას სტერილური ზონდებით, რაც უზრუნველყოფს არტიკულაციური მუსკულატურის ტონუსის ნორმალიზებას. ასეთი მასაჟი ესაჭიროება ბავშვებს დიქციის დარღვევით, განუვითარებელი ლეჭვის უნარით, ყლაპვის დარღვევით და მომატებული ნერწყვის გამოყოფით.

რეაქტორში ტარდება:



დეფექტოლოგთან მეცადინეობა

ეხმარება ბავშვს ისეთი ძირითადი ცნებების ათვისებაში, როგორცაა ფერი, ფორმა, ზომა, ისწავლოს ველური და შინაური ცხოველების სახელები, საგნების დაჯგუფება ძირითადი ნიშნების მიხედვით, და რაც ყველაზე მთავარია - აღნიშნული მეცადინეობები ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას.




ბავშვთა ფსიქოლოგთან მეცადინეობა

ფსიქოლოგთან მეცადინეობის მიზანს წარმოადგენს წვრილი მოტორიკის, მეხსიერების, ყურადღების, აზროვნების განვითარება. ეს ეხმარება სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს გადაჭრან სწავლის პრობლემები, განივითარონ წერა-კითხვის, დათვლის ჩვევები.



კიდურების სიგრძივი მასაჟი

ხელს უწყობს სპასტიკური კუნთების მოდუნებას და პარეზული და ატროფირებული კუნთების მოცულობის გაზრდას ცნს-ის პერინატალური დაზიანების და ბცდ-ის მქონე ბავშვებში.



მანუალური თერაპია

ხერხემლის კისრის ნაწილის ტრავმის მქონე ბავშვებს ესაჭიროებათ პოსტიზომეტრილი რელაქსაცია, რომელიც ადუნებს დაჭიმულ კისრის კუნთებს, ხსნის ბლოკებს და აუმჯობესებს სისხლის დინებას ხერხემლის არტერიებით თავის ტვინის მიმართულებით.



სფკ (სამკურნალო ფიზკულტურა)

სამკურნალო ფიზკულტურა აუცილებელია ბცდ-ს მქონე ბავშვებისთვის ახალი მოძრაობითი ჩვევების განსავითარებლად. ამ მიზნით გამოიყენება სფკ-ის სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ფიტბოლის და მექანიკური ტრენაჟორების გამოყენებით.



იპოთერაპია

გამაჯანსაღებელი ცხენოსნობა ამაგრებს ზურგის კუნთოვან კორსეტს, ხელს უწყობს კუნთოვანი ტონუსის დაქვეითებას, ამცირებს ატაქსიას და აუმჯობესებს მოძრაობების კოორდინაციას ნათხემის ვარჯიშის შედეგად.


სწავლის უნარის განვითარების დარღვევისას

ტარდება თავის ტვინის შუბლის წილების რეფლექტორული სტიმულაცია, აღნიშნული ზონები არეგულირებს ლოგიკურ აზროვნებას და ყურადღების კონცენტრაციას, ასევე ხორციელდება დათვლის და წერა-კითხვის ზონების აქტივაცია.


დისლექსია (კითხვის უნარის დარღვევა) - ბავშვი ნელად კითხულობს, უშვებს ბევრ შეცდომას, არ ესმის წაკითხული მასალა.

დისგრაფია (წერის უნარის დარღვევა) - ბავშვი უშვებს ბევრ შეცდომას წერის დროს, არ შეუძლია სწორად გამოიყენოს შესწავლილი წესები.

მკურნალობამდე




მკურნალობის 3 კურსის შემდეგ




დისკალკულაცია (დათვლის უნარის დარღვევა) - ბავშვმა არ იცის დათვლა, ამოცანების და განტოლებების ამოხსნა, ვერ შეისწავლა და ვერ იყენებს გამრავლების ტაბულა.

მკურნალობამდე



მკურნალობის 3 კურსის შემდეგ



მკურნალობის შედეგად ბავშვი უკეთესად ითვისებს სასკოლო მასალას

- ✓ თანდათან უმჯობესდება მეხსიერება და ყურადღების კონცენტრაცია
- ✓ ქვეითდება აგზნებადობა, ქცევა უფრო ადეკვატური ხდება
- ✓ კითხვისას დაშვებული შეცდომების რაოდენობა მცირდება, კითხვის სიჩქარე იზრდება
- ✓ უმჯობესდება წაკითხულის აზრის გაგების, დამახსოვრების და თხრობის პროცესები
- ✓ წვრილი მოტორიკის განვითარების შედეგად უმჯობესდება ხელწერა
- ✓ იზრდება წერის სიჩქარე, შეცდომების რაოდენობა მცირდება
- ✓ ბავშვი ითვისებს არითმეტიკულ მოქმედებებს
- ✓ ბავშვი იმახსოვრებს და იწყებს შეკრების და გამოკლების ტაბულების გამოყენებას

მკურნალობა ეფექტურია შემდეგი დაავადებების შემთხვევაში

მეტყველების განვითარების დარღვევები

- ✓ მეტყველების განვითარების შეფერხება
- ✓ ფსიქო-სამეტყველო განვითარების შეფერხება
- ✓ მოტორული ალალია და სენსო-მოტორული ალალია
- ✓ ფსევდობუღბარული დიზართრია
- ✓ შერეული დიზართრია

აუტისტური სპექტრის განვითარების შეფერხებები

- ✓ აუტისტური ქცევა
- ✓ ორგანული აუტიზმი
- ✓ კანერის სინდრომი, ასპერგერის სინდრომი
- ✓ ადრეული ბავშვთა აუტიზმი
- ✓ აუტისტური სპექტრის აშლილობები

ცნს-ის პერინატალური დაზიანება

- ✓ ფსიქო-მოტორული განვითარების შეფერხება
- ✓ მომატებული კუნთოვანი ტონუსი

განვითარების შეფერხებები მხედველობის და სმენის ანალიზატორების დაზიანებით

- ✓ მხედველობის ნერვების ნაწილობრივი ატროფია
- ✓ დღენაკლულთა რეტინოპათია
- ✓ ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა

განვითარების შეფერხებები გენეტიკური და მეტაბოლიზმის დაავადებებისას, მათ შორის:

- ✓ ცელიაკია (ალერგია გლუტენის მიმართ)
- ✓ ფენილკეტონურია
- ✓ დაუნის სინდრომი

მოძრაობითი და მეტყველების განვითარების შეფერხებები ბავშვთა ცერებრალურ დამბლისას

- ✓ ბცდ, ჰემიპარეზი
- ✓ ბცდ, სპასტიკური დიპლეგია
- ✓ ბცდ, ორმაგი დიპლეგია
- ✓ ბცდ, ატონიკ-ასტატიკური ფორმა
- ✓ ბცდ, ჰიპერკინეტიკური ფორმა
- ✓ ბცდ, სპასტიკური ტეტრაპარეზი

ასევე სწავლის პრობლემები:

სწავლის ჩვევების სპეციფიკური აშლილობა: დისლექსია, დისგრაფია, დისკალულაცია.



პანსიონატი



სხვა ქალაქიდან ჩამოსული პაციენტებისთვის მუშაობს პანსიონატი „რეაქცენტრი სამარა“



თქვენ განკარგულებაში იქნება კომფორტული ნომრები: ეკონომი, სტანდარტი, მაღალი კომფორტულობის ნომრები.



ნომრის ღირებულებაში შედის 4-ჯერადი კვება. შეგიძლიათ გლუტენის გარეშე დიეტის შეკვეთა.



პანსიონატში არის ბავშვთა სათამაშო ოთახი, სადაც შეგიძლიათ დატოვოთ ბავშვი აღზრდელის მეთვალყურეობის ქვეშ



ეზოში მოწყობილია სათამაშო მოედანი სასრილო გორაკით და საქანელით, ქვიშის მოედანი.



ბავშვებს განსაკურებით უყვართ რბილი ლაბირინთი. აქ ბავშვებს შეუძლიათ ხტუნვა, სირბილი, გორაკიდან ჩამოსრიალება.

გადახდის ვარიანტები

1) უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორება.

2) მკურნალობის ღირებულების ანაზღაურება საქველმოქმედო ფონდების ხარჯზე.

მკურნალობისთვის მატერიალური დახმარების მისაღებად საქველმოქმედო ფონდში შესატანი დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. მშობლების წერილი-მომართვა დახმარების თხოვნით. წერილი უნდა შეიცავდეს მასს-მედიასი და ინტერნეტში ინფორმაციის განთავსების ნებართვა ბავშვის მკურნალობისთვის სახსრების შესაკრებად (სასურველია პრობლემის დეტალური აღწერა, მკურნალობის საჭიროების და საქველმოქმედო ფონდის სახსრებით დაფინანსების დასაბუთებას.)

2. მშობლის/მეურვის პასპორტის ასლი (გვერდი ფოტოთი და მისამართით).

3. ბავშვის დაბადების მოწმობა.

4. სამედიცინო ამონაწერი.

5. მშობლების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტის მისამართი).

6. ბავშვის მკურნალობის ანგარიში (ამზადებს „რეაქცენტრის“ ადმინისტრატორი, რომელშიც იგეგმება ბავშვის მკურნალობა)

3) მკურნალობის ღირებულების ანაზღაურება ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის პოლისით.

ნსდ-ს პოლისის მფლობელებს შეუძლიათ მიიღონ საკონსულტაციო, დიაგნოსტიკური მომსახურება და მკურნალობა, „რეაქცენტრის“ მომსახურების კომპლექსის სრული ანაზღაურება განახორციელებს სადაზღვევო კომპანია. ნსდ-ს პოლისით მომსახურების მიღების დეტალების დასაზუსტებლად დაზღვეულმა პირმა უნდა მიმართოს „რეაქცენტრს“ ტელეფონით: 8-800-2222-602.

მიკროდენით რეფლექსოთერაპიის ჩატარებისას თითოეული ბავშვისთვის იქმნება მკურნალობის სქემა ნევროლოგიური გამოვლინებების გათვალისწინებით:

ისტერიული გამოვლინების, აგრესიის, მოჭარბებული მოტორული აქტივობის შემთხვევაში გამოიყენება რეფლექტორული ზონები, რომლებიც ამცირებს ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობას.

Подобранные точки

Значения S	В	Группы	Точки	Группы	В
	T	B.	VB 20	B.	T
	T	B.	VB 21	B.	T
	T	B.	V 11	B.	T
	B	B.	VG 14	B.	B
	T	B.	GI 15	B.	T

КОРП-точек: 10 АТ-точек: 0

Начать воздействие

Патологические установки конечностей: Merидиан: № точки: Локация: GI 15 15 Кожа Мышцы Кости

Дополнительные сведения: под акрилоном лопатки, в ямку, образующуюся при отведении руки в бок и чуть выше

Стандарт Детский Отключен

Стандартные параметры

Ток 100 Время 45

Общий пассивник Автомат Педаль

Печать

Завершить сеанс

ფსიქო-სამეცყველო განვითარების შეფერხების და აუტიზმის შემთხვევაში გამოიყენება თავის ტვინის ქერქის მეცყველების ზონების პროექციაში მდებარე რეფლექტორული ზონები: ბროკის ზონა, ვერნიკის ზონა, თავის ტვინის შუბლის წილები.

Добавленные точки

Значен	В	Точки	В	Значен
	T-	Пион КЗР	T-	
	B-	3 КЗПР	B-	
	B-	3 КЗАР1	B-	
	B-	3 КЗАР2	B-	

Мерид. Точка МЗФ Зона

3 КЗАР2

Воздействие на БАТ

Тип пробоя

Стандарт Детский Отключен

Стандартные параметры

Ток 100 Время 45

Общий пассивник Автомат Педаль

Печать

Завершить сеанс



ბავშვთა ცერებრალური დამბლის სპასტიკური ფორმის შემთხვევაში ახდენენ მოსადუნებელ რეფლექტორულ ზემოქმედებას ზედა და ქვედა კიდურების სპასტიკურ კუნთებზე.

Патологические установки конечностей:
руки согнуты в локтевом суставе

Меридиан: № точки: Локация:
 Кожа
 Мышцы
 Кости

Дополнительные сведения:
m. biceps brachii, установка электродов сверху вниз мидокалм T⁺/-, m. brachioradialis, установка электродов на обл. G10 сверху вниз мидокалм T⁺/-, (при сочетании с нарушенной супинацией с G10 на C3 мидокалм T⁺/-). Рука согнута в локтевом суставе, затруднено разгибание в локтевом суставе.

Патологические установки конечностей:
опора на передний край стопы

Меридиан: № точки: Локация:
 Кожа
 Мышцы
 Кости

Дополнительные сведения:
m. gastrocnemius (латеральная и медиальная головки), установка электродов с V57m на V57L мидокалм T⁺/-, m. soleus, установка электродов на уровне нижней трети голени сбоков от ахиллова сухожилия, мидокалм T⁺/-. Ходьба на носочках, клонус стоп, боли в икроножных мышцах.





რეაცენტრი

ნევროლოგიის და რეფლექსოთერაპიის
ბავშვთა განყოფილებები

ჩვენი განყოფილებები:


- პანსიონატი ქ. სამარაში, ტელ. (846) 990-29-49
- ქ.სამარა, ნოვო-ვოკზალნი ჩიხი, 21ა, ტელ. (846) 205-03-43
- ქ. სამარა, ფრუნზის ქ. 169ა, ტელ. (846) 33282-01
- ქ. ასტრახანი, ადმირალ ნახიმოვის ქ. 70 გ, ტელ. (8512) 24-27-77)
- ქ. ბარნაული კალინინის გამზ. 8, ტელ. (3852) 53-66-73
- ქ. ვოლგოგრადი, კრასნოზნამენსკაია ქ. 25ბ, ტელ. (8442) 33-05-29
- ქ. ეკატერინბურგი, ბაუმანის ქ. 28ბ, ტელ. (343) 300-12-50
- ქ. იჟევსკი, პუშკისკაია ქ. 222, ტელ. (3412) 333-032
- ქ. კაზანი კარლ მარქსის ქ. 14, ტელ. (843) 292-59-06
- ქ. კალინინგრადი, გამარჯვების გამზ. 70ა, ტელ. (4012) 93-43-70
- ქ. კემეროვო, ძერჟინსკის ქ. 14, ტელ. (3842) 33-01-03
- ქ. ნაბერეჟნიე ჩელნი, სიუიუბიკის გამზირი 28, ტელ. (8552) 44-65-65
- ქ. ორენბურგი, ტერეშკოვას ქ. 8ა, ტელ. (3532) 56-11-45
- ქ. სანქტ-პეტერბურგი, სევერნი გამზ. 18/1, ტელ. (812) 335-25-03
- ქ. სარატოვი, შელკოვიჩნაია ქ. 186, ტელ. (8452) 791-893
- ქ. ტოლიატი ჟუკოვის ქ. 6, ტელ. (8482) 612-512
- ქ. ტოლიატი, ოქტიაბრსკაია ქ. 72, მე-4 სართ. ტელ. (8482) 229-329
- ქ. ულიანოვსკი, ექიმ მიხაილოვის ქ. 53, ტელ. (8422) 55-39-74
- ქ. უფა, იური გაგარინის ქ. 33, ტელ. (347) 262-82-62
- ქ. ჩელიაბინსკი, მეტალურგთა გზატკეცილი, 78ა, ტელ. (351) 751-16-01

8-800-2222-602 რუსეთის ტერიტორიაზე ხარი უფასოა
www.reacenter.ru



რეაბილიტაციის ცენტრი

ნევროლოგიის და რეაბილიტაციის
ბავშვთა განყოფილებები



სამარა
ტოლიატი
სარატოვი
ვოლგოგრადი
ულიანოვსკი
კემეროვო

ჩელიაბინსკი
ეკატერინბურგი
ორენბურგი
ასტრახანი
კალინინგრადი
ნაბერეჟნიე ჩელნი

უფა
ბარნაული
კაზანი
იჟევსკი
სანქტ-პეტერბურგი
პანსიონატი ქ. სამარაში

2021